

## დაკარგულ შესაძლებლობათა მატჩი

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) – 2:0 (1:0).

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 8 აპრილი.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

მწვანე მინდორზე გამოვიდა 7 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 12 სპორტის ოსტატი. სტუმრების შემადგენლობაში თამაშობდნენ: სანაია, პეტროვი, ზიაბლიკოვი, შიშაევი, სოკოლოვი, ბლინკოვი, ტროფიმოვი, სავდუნინი, ბესკოვი, ილინი (ტენიავინი), ს. სოლოვიოვი. თბილისის “დინამოს” სახელს იცავდნენ: მარლანია, ელოშვილი, ძიაპშვა, სარქველაძე, პანიუკოვი, კილაძე, ჭავჭავაძე, კ. გაგნიძე, ვარდიმიადი (ბ. პაიჭაძე), ღოლობერიძე, თოდრია.

მსაჯის სასტვენის ხმაზე თბილისელები მაშინვე გადადიან იერიშზე და სანაია ებმება თამაშში. ღოლობერიძე აყოვნებს საჯარიმო მოედანში და ახალგაზრდა შიშაევი ასწრებს მისთვის ბურთის აცლას; მეორე წუთზე გაგნიძე ურტყამს კარს ზემოთ, წუთიც არ გადის და სოლოვიოვი აწოდებს კუთხერს...

მე-7 წუთია. ჭავჭავაძე გადის ცენტრში გარღვევაზე. გოლი თითქოს უეჭველია, კარამდე დარჩა 15 მეტრი... 10... 8... დარტყმა! ბურთი ოდნავ სკადება გვერდით ძელს. აი, ვარდიმიადი გაიჭრა წინ, მაგრამ სანაია გაბედული ნახტომით ფეხებში უვარდება თბილისელს და აქარწყლებს საშიშროებას.

თბილისელები აძლიერებენ ტემპს, მაგრამ ზედმეტად აჩერებენ ბურთს.

მე-16 წუთზე გაგნიძე ლრ მოსკოველთან ბრძოლაში გადის წინ და ბურთს ჭავჭავას აწოდებს, რომელიც ცენტრშია გადანაცვლებული. დარტყმა... კარს ზემოთ.

21-ე წუთზე გვერდით ხაზთან გადის სარქველაძე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში იგი კარგავს ბურთს. მცირე ხნის შემდეგ მარქვნიდან გარღვევაზე გასული ღოლობერიძე უშვებს შეცდომას: უკან გადაწოდების ნაცვლად, იგი ბურთს არაზუსტად ურტყამს კარში.

33-ე წუთი. მშვენიერი კომბინაცია ღოლობერიძე – თოდრია – ვარდიმიადი, მაგრამ სანაია უკუაგდებს ძლიერად დარტყმულ ბურთს. თბილისელები ზედმეტად გაერთნენ შეტევით და თავის ზურგს ზუსტ კონტროლს აღარ უწევენ. და აი, 35-ე წუთზე სავდუნინმა გადაინაცვლა მარცხნივ, მიიღო ბურთი, მოატყუა მასთან სწრაფად მიჭრილი ძიაპშვა და გადააწოდა მარქვნივ ცენტრში უყურადღებოდ მიტვებულ სოლოვიოვს, რომელმაც აუჩქარებლივ, ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი თბილისელთა კარში. 1:0.

თბილისელები კვლავ გადადიან შეტევაზე. სანაია ორქერ უკუაგდებს ძნელ ბურთს.

მეორე ტამი კვლავ თბილისელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ მე-7 წუთზე მოსკოველები კარგად იყენებენ სარქველაძის არაზუსტ გადაცემას: ტროფიმოვი ეუფლება ბურთს, გადის წინ და ზუსტად აწოდებს სოლოვიოვს. მარლანია აგვიანებს ნახტომს და ბურთი ბადეში ესვევა. 2:0 – მიჰყავს მოსკოვს.

საოცარი ამბავია: უტევენ თბილისელები, გოლები კი გააქვთ მოსკოველებს.

ბრწყინვალედ თამაშობს სანაია. იგი სამჯერ მუშტით შესანიშნავად იგერიებს კუთხერი დარტყმით მოწოდებულ ბურთებს, ფეხებში უვარდება გარღვევაზე გასულ ჭავჭავას, იღებს ძლიერ ბურთს ღოლობერიძისაგან, უშეცდომოდ მოქმედებს საჯარიმო მოედანში.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ბ. პაიჭაძე ოსტატურად ატყუებს ორ მცველს და კარიდან 3-4 მეტრის დაცილებით ბურთს აგზავნის... ძელის ზემოთ. დაკარგული ანგარიშის გაუმჯობესების უკანასკნელი შესაძლებლობა.

გაისმის ბელოვის საფინალო სასტვენის ხმა.

2:0 – მოსკოველთა სასარგებლობა.

თბილისელების ჰერინგათ აშკარა ტერიტორიული უპირატესობა. თითქმის მთელი 90 წუთი მათ მოსკოველთა ნახევარზე გაატარეს, მაგრამ ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი წააგეს.

საინტერესოა გადავხედოთ მატჩის ჩანაწერებს: კუთხური დარტყმები: თბილისი – 8, მოსკოვი – 4; საჯარიმო დარტყმები: თბილისის მხარეს – 28, მოსკოვის მხარეს – 22; ბურთის თამაშში შეყვანა გვერდითი ხაზიდან: თბილისი – 25, მოსკოვი – 14; მევარეები თამაშში იყვნენ: მარლანია 15–ჯერ, სანაია 40–ჯერ; კარში დაარტყეს: თბილისელებმა 19–ჯერ, მოსკოველებმა 10–ჯერ.

რაზე მეტყველებს ამ მშრალი ციფრების ანალიზი? თბილისელთა უპირატესობაზე. ისინი უფრო ზუსტად თამაშობდნენ და უფრო ხშირად უტევდნენ.

მაგრამ, აი რა არის მთავარი: თუ მოსკოველებმა კარში 10 დარტყმიდან 2 გოლი გაიტანეს, თბილისელებმა 19–დან – ვერცერთი. ეს არის მათი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

საჭიროა გუნდმა მეტი ყურადღება მიაქციოს კარში ზუსტი და ძლიერი დარტყმების დამუშავებას. ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის „დინამომ“ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ტაქტიკური ელემენტებისა და კომბინაციების სრულყოფის დარგში.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 4:3.

ი. ვანიატი.

„ლელო“, 13 აპრილი 1951 წ.